დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე , „ვებტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრები:
ალექსანტრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 12 აპრილის MES 8 21 0000345242 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი, წევრი: ალექსანდრე კეკენაძე) დაევალა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში „ვებტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, დისტანციურად ჩართვამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც 23 აპრილს, 14.00 საათზე განხორციელდა ჩართვა. შეხვედრამ ჩაიარა მშვიდ, საქმიან გარემოში.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვებტექნოლოგიების" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. ექსპერტების მიერ განხორციელდა ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და შესაბამის პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. შემოწმდა დაწესებულების მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები და განხორციელდა მათთან გასაუბრება ონლაინ რეჟიმში.

დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წარმოდგენილ დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა
V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა
VI. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება
VII .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
VIII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IX. სტანდარტების შეფასება

ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების რეკვიზიტები: რექტორის 2020 წლის 10 ივნისის N 2/37 ბრძანება ცვლილებები შესულია რექტორის 2021 წლის 1 აპრილის N2/29 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	არსებული - 40 პროფესიული სტუდენტი (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად); დამატებით ითხოვს - 40 პროფესიულ სტუდენტს. გაზრდილი რაოდენობა - 80 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	63
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.28 მოდულური პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა: 80
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები		შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ონლაინ დათვალიერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული რესურსით. პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით აკადემიამ მოწყო ახალი B გარემო და შეიძინა 21 კომპიუტერი, რომელთა მახასიათებლები (მონაცემები) აღემატება არსებულ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვებტექნოლოგიები, ხორციელდება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. 28 . პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი :

A გარემო(1)

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა 20 პროფესიულ სტუდენტზე
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 20ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც;

აღნიშნულ გარემოში ხორციელდება ზოგადი მოდულები, A სასწავლო გარემო - ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ იტვირთება 25 %-ით, რაც საშუალებას იძლევა ერთ ცვლაში მიღებული იქნეს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოთხმაგი რაოდენობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B გარემო 1 ვებტექნოლოგიებისათვის

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა 20 პროფესიულ სტუდენტზე
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 20ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის - 20 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც;
- პრინტერი(კომბაინი) 1ც;
- ფლეშმეხსიერება 1ც.

აღნიშნულ გარემოში შესაძლებელია ორცვლიანი რეჟიმით ორი ჯგუფის მიღება, თითოეულ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა 20, სულ 40 სტუდენტი.

B გარემო 2 ვებტექნოლოგიებისათვის

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა 20 პროფესიულ სტუდენტზე
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 20ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის - 20 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც;
- პრინტერი(კომბაინი) 1ც;
- ფლეშმეხსიერება 1ც.

აღნიშნულ გარემოში შესაძლებელია ორცვლიანი რეჟიმით ორი ჯგუფის მიღება, თითოეულ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა 20, სულ 40 სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B გარემო 3 - ზოგადი მოდულის ინფორმაციული წიგნიერება განხორციელებისათვის

დაწესებულებას აქვს დამატებით ორი B გარემოში პროფესიული სტუდენტების კომპიუტერების რაოდენობა სულ -ერთ აუდიტორიაში 20, მეორეში 15, სულ 35 ადგილი, კერძოდ, აღნიშნულ გარემოებში განთავსებულია მასწავლებლის კომპიუტერი 2 ც, მონიტორი 2 ც, პრინტერი 2 ც. თითოეული B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტის წლიური 60 კრედიტიდან(ინფორმაციული წიგნიერების მოდულზე) ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს. შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით.

AC გარემო ინტეგრირებული მოდულის მეცნიერება და ტექნოლოგიების განხორხციელებისათვის

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა 20 ც;
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 20ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც;

აღნიშნულ გარემოში განთავსებულია ზოგადი ინტეგრირებული მოდულის -მეცნიერება და ტექნოლოგიები შესაბამისი მატერიალური რესურსები. აღნიშნულ გარემოში მოდული „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ხორციელდება 2 პროფესიული პროგრამის ფარგლებში: ვებტექნოლოგიები და საოფისე საქმე. ორივე პროგრამაზე მაქსიმალური ჯგუფების მიღების შემთხვევაში აღნიშნული გარემოს დატვირთვა იქნება 30 საათი, რაც შეადგენს ორცვლიანი სწავლების შესაძლებლობების ნახევარს.

აკადემიას პრაქტიკული პროექტის მეორე შედეგის შესაბამისად პრაქტიკის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან:

- ა(ა)იპ სამეცნიერო კიბერუსაფრთხოების ასოციაცია - 20 პროფესიული სტუდენტი;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების აკადემია სი თი ეი -20 პროფესიული სტუდენტი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებელია 80 პროფესიული სტუდენტის მიღება, მათ შორის 60 ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეების და ასევე სასწავლო გეგმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამისთვის „ვებტექნოლოგიები“ განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; ვებტექნოლოგიების დარგობრივ 9 მოდულს ახორციელებს 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ზოგად მოდულებს ახორციელებს 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტეგრირებულ მოდულებს ახორციელებს 17 მასწავლებელი, თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით, გათვალისწინებულია პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ასევე განმახორციელებლების პირადი საქმეების გაცნობის და მათთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვებტექნოლოგიები“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, მათი პირადი საქმეების შემოწმების და მათთან პლატფორმა ზუმის მეშვეობით გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გასაუბრებით დადგინდა ზუმის მეშვეობით პერიოდულად ტარდება ვორქშოპი-ტრენინგი თემაზე სწავლება და შეფასება პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლებაში. ტრენინგის მიზანი იყო თანამედროვე მეთოდების დანერგვა, ინფორმაციის გაცვლა, პრობლემების განხილვა და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება. ინტეგრირებულის მასწავლებლებს გავლილი აქვთ ასევე განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენინგები. დაწესებულებაში ინახება ჩატარებული ტრენინგებისა და კონსულტაციების შესახებ ანგარიშები .

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა და ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი რომელიც დანიშნულია დირექტორის ბრძანებით და მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროგრამის ხელმძღვანელთან
გასაუბრების შედეგად დადგინდა მისი პროფესიონალიზმი, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება და მზაობა პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელებისა და განვითარებისთვის. შესაბამისად, თვალნათელი იყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებაში. ასევე, იგი კონსულტაციებს უწევს პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პირებს, ზრუნავს პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე, მონაწილეობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციაში და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკში, საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. დადგინდა, რომ ისინი ინახება დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, გამოიყენება სასწავლო პროცესში; ბიბლიოთეკას ემსახურება კომპეტენტური ბიბლიოთეკარი, რომელსაც კომპეტენცია უდასტურდება როგორც კვალიფიკაციით, ისე პრაქტიკული გამოცდილებით. დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საკანონმდებლო აქტების კონსოლოდირებული ვერსიების წვდომის უზრუნველსაყოფად მაცნესთან.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

როგორც დადგინდა, ამ ეტაპზე აკადემიას არ ჰყავს სსსმ პირი, თუმცა არსებობის შემთხვევაში მათ წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს ფარგლებში აღნიშნეს, რომ ისინი უზრუნველყოფენ სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში დაწესებულება გამოთქვამს მზაობას უზრუნველყოს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენა. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში ისინი მოიაზრებენ სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირებასაც.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიას განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, რომლის შემოსავლების მთავარი წყაროა როგორც სწავლის საფასური ასევე ვაუჩერული დაფინანსებაც. ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების და სხვა ხარჯებს. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების შედარებით განსაზღვრული რენტაბელობა (15 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული მიმართულებით, 13 მოდულურზე) აღემატება პროგრამაზე განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესისი მარეგულირებელი წესი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- პროგრამის განმახორციელებეილი პერსონალის პირადი საქმეები, ხელშეკრულებები;
- პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- დაწესებულების თანამშრომლების და მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- დაწესებულების ვებგვერდის www.bta.edu.ge დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

XII. თანდართული დოკუმენტაცია

17.05.2021 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: